განმარტებითი ბარათი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებით, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებული საკითხების ერთგვაროვანი მოწესრიგების მიზნით, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებული ტერმინების „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებას ითვალისწინებს. გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტის მიღების მიზეზია უმაღლესი განათლების ფარგლებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონეების განსაზღვრის აუცილებლობა, ასევე მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის, ბაკალავრიატის იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს და მაგისტრატურის იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელიც მოიცავს არანაკლებ 90 კრედიტს განხორციელებისათვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის აცუილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულ იქნეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლებიც იქიდან გამომდინარე, რომ განათლების სამივე სისტემისათვის (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი) არის საერთო, აისახება „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში. გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტის მიზანია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციაში „შუალედურ კვალიფიკაციასთან“ დაკავშირებული რეგულაციების შეცვლა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ტერმინოლოგიასთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად. კანონპროექტის მიზანს ასევე წარმოადგენს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ტერმინთა განმარტებების კორექტირება, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმარტებების ასახვა და ამ პროგრამების მოცულობასთან/ხანგრძლივობასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებულ უნდა იქნეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს (კანონის მე-2 მუხლის „ე[2]“ ქვეპუნქტი), ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (კანონის მე-2 მუხლის „ფ[1]“ ქვეპუნქტი), კვალიფიკაციის (კანონის მე-2 მუხლის „ღ[2]“ ქვეპუნქტი), სწავლის შედეგებისა (კანონის მე-2 მუხლის „ჰ[34]“ ქვეპუნქტი) და შუალედური კვალიფიკაციის (კანონის მე-2 მუხლის „ჰ[36]“ ქვეპუნქტი) დეფინიციები. ასევე, კანონით გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებებიდან ამოღებულ უნდა იქნეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს დამტკიცების უფლებამოსილება (კანონის

მე-7 მუხლის პირველი პუნქტის პ[4]“ ქვეპუნქტი), რადგან აღნიშნული წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემადგენელ ნაწილს და შესაბამისი რეგულაციები აისახება „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში.

კანონპროექტის თანახმად, ტერმინი შუალედური კვალიფიკაცია ჩანაცვლდება ტერმინით „ასოცირებული ხარისხი“. კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, შუალედური კვალიფიკაცია სტუდენტს ენიჭება პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად, ხოლო კანონის 46[1] მუხლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლის შემთხვევაში მიანიჭოს სტუდენტს შუალედური კვალიფიკაცია. შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები. ამ მიმართულებით კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები შეეხება, როგორც კვალიფიკაციის სახელწოდებას - შუალედური კვალიფიკაციის ტერმინს, ასევე მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გზებსა და მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას.

საგულისხმოა, რომ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებას საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს ტერმინი „ასოცირებული ხარისხი“. სწორედ, ეს ტერმინია თავსებადი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. ამდენად, წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, ასოცირებული ხარისხი განიმარტება, როგორც კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შედეგად. კანონპროექტის მიხედვით, პირს, რომელმაც დაასრულა მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, ეძლევა ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი. შესაბამისად, კანონის 46-ე მუხლს ემატება მე-5 პუნქტი.

კანონპროექტით ასევე მოცემულია მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დეფინიცია, კერძოდ, იგი განიმარტება, როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ასევე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე (იხ. მე-2 მუხლის „ჰ[49]“ ქვეპუნქტი). მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის გარდა, კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ ინტეგირებულ სამაგისტრო (მაგალითად, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა), ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო (მაგალითად, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა) და ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების (მაგალითად, სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლება) არსებობას, რომლებიც საკუთარ თავში აერთიანებენ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგებს და მათი დასრულების შემდგომ, პირს ენიჭება მაგისტრის ხარისხი. სწორედ, ამ მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს დათქმას, რომ

მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დაკავშირება შესაძლებელია, როგორც ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ასევე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე.

მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დეტალური რეგულაცია წარმოდგენილია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46[1] მუხლით. გამომდინარე იქიდან, რომ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას აქვს დამოუკიდებელი სწავლის შედეგი, რომელიც შესაბამის კვალიფიკაციაზე გადის, ზემოხსენებული კანონის 46[1] მუხლში წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ექნება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორი გზა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი იქნება, განახორციელოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელიც ასევე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე, რა დროსაც სტუდენტს ასოცირებული ხარისხი ენიჭება ამ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვებისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად;

ბ) ცალკე საგანმანათლებლო პროგრამის სახით და მიანიჭოს პროფესიულ სტუდენტს ასოცირებული ხარისხი, შესაბამისი მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევისა და კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შედეგად.

კანონპროექტით განსაზღვრულია, რომ პირველ შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის მოპოვება გახორციელდება სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის კანონის 52-ე მუხლით დადგენილი წესით, რადგან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი იმ საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს, რომელიც ასევე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს ასოცირებულ ხარისხს (იხ. კანონპროექტით წარმოდგენილი 46[1] მუხლის მე-2 პუნქტი). მეორე შემთხვევაში, როდესაც მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ცალკე საგანმანათლებლო პროგრამის სახით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება განხორციელდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით (იხ. კანონპროექტით წარმოდგენილი 46[1] მუხლის მე-3 პუნქტი). მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მოიპოვებს საერთო წესით, ისევე როგორც იგი იძენს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას (ავტორიზაციის ან აკრედიტაციის გავლის გზით). მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს მიანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას - ასოცირებულ ხარისხს. აღნიშნული დათქმები მოხსნის გაურკვევლობას სხვადასხვა გზით

განხორციელებად მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტისა, თუ პროფესიული სტუდენტის დაშვებასთან დაკავშირებით.

კანონპროექტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი იქნება აღიაროს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები. კერძოდ, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაბამის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამასთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომელიც ასევე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე, თავსებადობის დადგენის გზით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მოახდენს პირის მიერ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებას. ეს შესაძლებლობას მისცემს პროფესიულ სტუდენტებს, მოახდინონ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მათ მიერ მიღებული ცოდნის აღიარება უმაღლესი განათლების მიღების მიზნებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს ცალკე პროგრამის სახით, მოკლე ციკლის საგანმნათლებლო პროგრამის არსებობას (რომელიც არ იქნება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი), მისი კრედიტებით გაანგარიშება მოხდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით და არა უმაღლეს განათლებაში მოქმედი - ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. ამდენად, კანონპროექტი ითვალისწინებს დათქმას, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი იქნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს პირის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული. კრედიტების აღიარება უნდა განხორციელდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით (იხ. 46[1] მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები).

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები შეეხება ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ტერმინთან განმარტებების კორექტირებასაც. კერძოდ, კანონის მოქმედი რედაქციით, სამივე ტერმინი გაიგივებულია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან, კერძოდ, ბაკალავრიატი განმარტებულია, როგორც „აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა (...)“; მაგისტრატურა, როგორც „აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა (...); ხოლო დოქტორანტურა, როგორც „აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა (...)“. ცხადია, ამგვარი განმარტება არ შეესაბამება ტერმინთა რეალურ მნიშვნელობას, რადგან თითოეული მათგანი წარმოადგენს უმაღლესი განათლების საფეხურს და არა - საგანმანათლებლო პროგრამას. ამდენად, კანონპროექტი ამ ტერმინების კორექტირების პარალელურად, ითვალისწინებს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტ განმარტებებს. კერძოდ, სისტემური მოწესრიგების თვალსაზრისით, კანონპროექტით წარმოდგენილია ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ზუსტი და ლაკონური განმარტებები. ბაკალავრიატი განიმარტება, როგორც აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური, მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, ხოლო დოქტორანტურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური.

კანონპროექტის მიხედვით, ბაკალავრი განიმარტება, როგორც მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება. ამასთან, ბაკალავრის განმარტებას ემატება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის განმარტება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს (მე-2 მუხლის „მ[1]“ ქვეპუნქტი).

კანონპროექტით მაგისტრი განიმარტება, როგორც მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება (მე-2 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტი). ამასთან, მაგისტრის განმარტებას ემატება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის განმარტება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს (მე-2 მუხლის „ძ[2]“ ქვეპუნქტი).

კანონპროექტის თანახმად, დოქტორი განიმარტება, როგორც მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება (მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი). ამასთან, დოქტორის განმარტებას ემატება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმარტება, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მერვე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს (მე-2 მუხლის „ტ[1]“ ქვეპუნქტი).

ზემოაღნიშნული ცნებებიდან გამომდინარე, კანონპროექტით ტექნიკურად (ტერმინოლოგიის თვალსაზრისით) გასწორდა: „კოლეჯის“ ცნება და მიეთითა, რომ კოლეჯი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას (მე-2 მუხლის „ღ[1]“ ქვეპუნქტი); ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ცნება და მიეთითა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამისა); სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (მე-2 მუხლის „ჰ[33]“ ქვეპუნქტი); უნივერსიტეტის ცნება და მიეთითა, რომ უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს ან აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს (მე-2 მუხლის „ჰ[18]“ ქვეპუნქტი). ასეთივე, ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, რაც გულისხმობს ნორმაში მხოლოდ ზემოაღნიშნული ტერმინების ჩანაცვლებას, შეეხო კანონის მე-9 მუხლის 1[1] პუნქტს, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტს, 47[6] მუხლის პირველ პუნქტსა და 52[1] მუხლის სათაურს. ასევე, ცვლილება შედის კანონის 46[4] მუხლის მე-4 პუნქტში და სწორდება ტერმინოლოგიურად, რომლის თანახმადაც ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი

სერტიფიკატი, რომელიც პირს ანიჭებს ვეტერინარიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ტერმინის ცვლილებას, რაც მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების დაკავშირებას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეებთან. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, უმაღლესი განათლება არის სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6-მე-8 დონეების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით (იხ. მე-2 მუხლის „ჰ[15]“ ქვეპუნქტი).

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის იდენტიფიცირების მიზნით, კანონპროექტით წარმოდგენილია ცვლილება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ცნებაშიც. კერძოდ, განმარტებას ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ამ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს (იხ. მე-2 მუხლის „წ[2]“ ქვეპუნქტი). ასეთივე ხასიათის ცვლილება შედის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ცნებაში, კერძოდ, ამ პროგრამის განმარტებას ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ამ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს (იხ. მე-2 მუხლის „წ[4]“ ქვეპუნქტი); ანალოგიური ცვლილება ეხება ვეტერინარის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ცნებას, კერძოდ, მას ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ამ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს (იხ. მე-2 მუხლის „წ[7]“ ქვეპუნქტი); ხოლო ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ცნებას ემატება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, იგი მოიცავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგებს (იხ. მე-2 მუხლის „წ[9]“ ქვეპუნქტი).

კანონპროექტი ითვალისწინებს ასევე, ცვლილებებს კანონის 46-ე მუხლში, რომელიც ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობებს/ხანგრძლივობას უკავშირდება. საგულისხმოა, რომ ბოლონიის პროცესის ფარგლებში, აქტიურად განიხილება საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანტურის საფეხურებთან დაკავშირებული რეგულაციები. საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება 240 და 180 კრედიტიანი მოცულობებით, ხოლო მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, ფართოდ გამოიყენება 120 და 90 კრედიტიანი მოდელები. მსგავსი მოქნილობა საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას აძლევთ, პროგრამების პროფილის მიხედვით განსაზღვრონ კრედიტების მოცულობა და სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა, რაც უფრო ეფექტიანს ხდის სასწავლო პროცესს და დადებითად აისახება განათლების ხარისხზე. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე პროგრამის მოცულობებთან დაკავშირებული ძირითადი დათქმიდან გამონაკლისის არსებობა, მნიშვნელოვანია ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნითაც, რადგან ხსნის კრედიტების განსხვავებული მოცულობის შემთხვევაში ამ პროგრამის ერთობლივად განხორციელებასთან დაკავშირებულ ბარიერს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას

შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი იქნება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, შეიმუშაოს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 90 კრედიტს. ამასთან, განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის საკანონმდებლო გარანტიის არსებობისათვის, კანონპროექტის მიხედვით, ეს წესი უნდა ითვალისწინებდეს დათქმებს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტებისა და კრედიტების განაწილების შესახებ. აღსანიშნავია, რომ განსხვავებული კრედიტების მოცულობის (ბაკალავრიატის შემთხვევაში - არანაკლებ 180 კრედიტი და მაგისტრატურის შემთხვევაში - არანაკლებ 90 კრედიტი) დასაშვებობის წინაპირობად ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი გაანალიზების, კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, პროგრამის შემადგენელი კომპონენტებისა და კრედიტების განაწილების შეფასება, მნიშვნელოვანია ამ პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ მხრივ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოუწევთ დასაბუთება იმისა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელია უფრო მცირე მოცულობის პირობებშიც, რაც გაანალიზდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვის (მაგალითად, გარკვეული სახის მომზადების/კომპეტენციის პირთა მიღების), პროგრამის კომპონენტების (ძირითადი/დამატებითი სპეციალობების/თავისუფალი და არჩევითი კომპონენტების) განაწილების, აგრეთვე კრედიტების განაწილების სისტემის მიხედვით. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობის შემცირებასთან დაკავშირებით ცვლილება შედის კანონის 81-ე მუხლში. კერძოდ, კანონპროექტით განისაზღვრება, რომ ამ კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებულ ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას სახელმწიფო დააფინანსებს 3 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებულ ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – 4 წლის განმავლობაში), ხოლო ამ კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებულ მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას – 18 თვის განმავლობაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში, ჯერ კიდევ, 2005 წლის მაისში ბერგენის მინისტერიალის კონფერენციაზე აღინიშნა და „უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკეში“ დაფიქსირდა, რომ სტრუქტურირებული დოქტორანტურის პროგრამებისა და გამჭვირვალე ხელმძღვანელობისა და შეფასების საჭიროების გათვალისწინებით, ქვეყნების უმრავლესობაში ნორმალური სამუშაო დატვირთვა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისათვის უნდა შეესაბამებოდეს (დასწრებული სწავლების) 3-4 წელიწადს. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დოქტორანტურის საფეხურზე პროგრამის საერთო მოცულობა განისაზღვროს წლებით და არა - კრედიტებით. ამასთან, კრედიტით გაზომვადი უნდა იყოს დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო კომპონენტი, ხოლო სასწავლო და კვლევით კომპონენტს შორის თანაფარდობის თვალსაზრისით, აუცილებელია დადგინდეს, რომ დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ შეიძლება მოიცავდეს 60 კრედიტზე მეტს. აღნიშნული განაპირობებს დოქტორანტურის პროგრამის ორიენტირებას კვლევაზე და კვლევის დაგეგმვას ისე, რომ იგი

სრულად იყოს მიმართული დოქტორანტის დახმარებასა და სრულფასოვანი სამეცნიერო ნაშრომის შექმნაზე.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები შეეხება ასევე, კანონის 48-ე მუხლის 2^1 და 5^1 პუნქტებსა და 49-ე მუხლის მე-3 პუნქტს. სამი ცვლილება შინაარსობრივად იდენტურია და ითვალისწინებს პრინციპს, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულაციებს ითვალისწინებს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ინიცირებული ცვლილებები, რომლის თანახმად, სწორედ კლასიფიკატორი ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს თითოეულ სწავლის სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ამდენად კვალიფიკაციის დასახელებასთან (როგორც ქართულ, ასევე - ინგლისურ ენაზე) დაკავშირებული საკითხები სრულად მოწესრიგდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით.

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებას, რომელიც უკავშირდება რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებასა და დამტკიცებას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. დარგობრივი მახასიათებლებთან დაკავშირებული რეგულაციები ასახულია სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტში და ისინი, ამჟამადაც, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული, თუმცა დარგობრივი მახასიათებლების შესახებ კანონში სათანადო დათქმა არ გვხვდება. კანონის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესსა და საფასურს ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით. ამასთან, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების მე-18 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ „რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი სპეციალური მოთხოვნები.“ დარგობრივი მახასიათებლების შემუშავების მიზნით, სხვადასხვა დარგობრივი საბჭოების შექმნისა და მათი საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის შესახებ დათქმები მოცემულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულებით“. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებობდეს დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებისა და დამტკიცების პირდაპირი საკანონმდებლო საფუძველი, რომელსაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი გაითვალისწინებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კანონპროექტის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეეძლებათ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ცალკე პროგრამის სახით. ასეთ შემთხვევაში, მოკლე ციკლის პროგრამის განხორციელების უფლებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მოიპოვებს საერთო წესით, ისევე როგორც იგი იძენს ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას (ავტორიზაციის ან აკრედიტაციის გავლის გზით). აღსანიშნავია, რომ პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება ავტორიზაციით ან აკრედიტაციის გზით, დამოკიდებულია დაწესებულების სურვილზე განახორციელოს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებები ავტორიზაციის/აკრედიტაციის საფასურს გადაიხდიან „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებითა (შემდგომში - ავტორიზაციის დებულება) და „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) გათვალისწინებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საფასურების შესაბამისად, ხოლო პროცესის ნებაყოფლობითი ბუნებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზუსტი გავლენის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტით განისაზღვრება, რომ ამ კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებულ ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას სახელმწიფო დააფინანსებს 3 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებულ ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – 4 წლის განმავლობაში), ხოლო ამ კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებულ მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას – 18 თვის განმავლობაში.

შესაბამისად, 3 წლიანი საბაკალავრო და 18 თვიანი სამაგისტრო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, წლიური დაფინანსების თვალსაზრისით, კანონპროექტს ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი პროგრამები ამ ეტაპზე არ არსებობს და მათი განხორციელებაც დაწესებულებებისათვის ნებაყოფლობითია, შესაძლო გავლენის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეეძლებათ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ცალკე პროგრამის სახით. ასეთ შემთხვევაში, მოკლე ციკლის პროგრამის განხორციელების უფლებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მოიპოვებს საერთო წესით, ისევე როგორც იგი იძენს ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას (ავტორიზაციის ან აკრედიტაციის გავლის გზით). აღსანიშნავია, რომ პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება ავტორიზაციით ან აკრედიტაციის გზით, დამოკიდებულია დაწესებულების სურვილზე განახორციელოს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებები ავტორიზაციის/აკრედიტაციის საფასურს გადაიხდიან ავტორიზაციის დებულებით და აკრედიტაციის დებულებით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საფასურების შესაბამისად, ხოლო პროცესის ნებაყოფლობითი ბუნებიდან გამომდინარე, ფინანსური შედეგების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ საგანმანათლებლო სივრცეში გაჩნდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 90 კრედიტს. შესაბამისად, მსგავსი მოცულობის პროგრამების არსებობა ამცირებს სასწავლო წლების რაოდენობასაც, ხოლო 3 წლიანი საბაკალავრო და 18 თვიანი სამაგისტრო პროგრამების განხორციელებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულებაზე და სტუდენტებს ჯამურად შეუმცირდეთ გადასახდელი სწავლის საფასური. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი პროგრამები ამ ეტაპზე არ არსებობს და მათი განხორციელებაც და განფასებაც დაწესებულებებზეა დამოკიდებული, შესაძლო ფინანსური შედეგების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.